სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ ტესტური დავალებების ნიმუშები:

## საქართველოს კონსტიტუცია

**საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია:**

ა. 1921 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით.

ბ. 1991 წლის 9 აპრილის მდგომარეობით.

**გ. 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.**

დ. 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით.

სწორი პასუხი: **გ,** მუხლი 2.1

## ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

**ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის თანახმად, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს:**

ა. უფლება არა აქვთ შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან.

**ბ. უფლება აქვთ კანონის ფარგლებში შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან.**

გ. მთავრობის თანხმობით, უფლება აქვთ კანონის ფარგლებში შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან.

დ. რეგიონის ხელისუფლების თანხმობით, კანონის ფარგლებში შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან.

სწორი პასუხი: **ბ,** მუხლი 10.1

## საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კოდექსი

**„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება:**
ა. მხოლოდ კანონის საფუძველზე.
**ბ. კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე.**
გ. მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე.
დ. მხოლოდ მთავრობის დადგენილების საფუძველზე.

სწორი პასუხი: **ბ,** მუხლი 17.2

## საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, რას ნიშნავს საკრებულოს განკარგულების საჯაროდ გამოცხადება?**

ა. განკარგულების წაკითხვას საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს ღია სხდომაზე.
ბ. განკარგულების ,,საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნებას.
გ. განკარგულების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებას.
**დ. განკარგულების ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას.**

სწორი პასუხი: **დ,** მუხლი 57

**მოქალაქე კალმახელიძის განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას. არაუფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ განცხადება და მასზე დართული საბუთები გადაუგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და წარუდგინა შესაბამისი დასაბუთება განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.**

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება?**

ა. კანონიერია, ვინაიდან განცხადების გადაგზავნისას არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს მოსაზრებები განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

ბ. უკანონოა, ვინაიდან არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 5 დღის ვადაში დაუბრუნოს განცხადება მოქალაქეს, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მითითებით.

გ. კანონიერია, ვინაიდან არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია განცხადება, მასზე დართული საბუთები და მოსაზრებები გადაუგზავნოს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

**დ. უკანონოა, ვინაიდან უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნისას დაუშვებელია რაიმე მოსაზრების წარდგენა განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.**

**საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“**

**მოქალაქე ბარბაქაძეს, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, სასამართლოს მიერ არა აქვს ჩამორთმეული შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო ნასამართლობის მოხსნამდე დარჩენილი აქვს სამი თვე. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა მოქალაქე ბარბაქაძე არ მიიღო საჯარო სამსახურში.**

**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონიერია თუ არა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ქმედება?**

ა. კანონიერია, ვინაიდან საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი ნასამართლევია განზრახი ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა.

ბ. უკანონოა, ვინაიდან დასაშვებია საჯარო სამსახურში მიიღებულ იქნას პირი, თუ იგი ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და ნასამართლობის მოხსნამდე დარჩენილი აქვს არაუმეტეს 3 თვე.

**გ. კანონიერია, ვინაიდან საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა.**

დ. უკანონოა, ვინაიდან დასაშვებია საჯარო სამსახურში მიიღებულ იქნას პირი, თუ იგი ნასამართლევია განზრახი ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, ნასამართლეობა მოხსნილი არა აქვს, მაგრამ სასამართლოს მიერ ჩამორთმეული არა აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება.

**სწორი პასუხი: გ,** მუხლი 17.ა